



სანოტარო პროცესის იურიდიული ბუნება

რეზიუმე

თინათინ ღვებარიაძე
სტუ-ს დოქტორანტი

იუსტიციის სისტემაში ნოტარიატის ადგილის, როლისა და მისი ბუნების თაობაზე მსჯელობისას მივედივართ დასკვნამდე, რომ სანოტარო საქმიანობა თავისი ბუნებით პროცესუალური ხასიათისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურია ნოტარიალური პროცესის დახასიათება, როგორც იურიდიული პროცესის ერთ-ერთი ნაირსახეობისა. იმ თვალსაზრისით, რამდენადაც სანოტარო საქმიანობა, როგორც სპეციალური სამართალგამოყენებითი იურიდიული ორგანო, თავის კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების კუთხით აღიქმება, როგორც სახელმწიფოებრივი საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რაც თავის მხრივ, ხორციელდება დადგენილი პროცესუალური რიგითობით. ნოტარიუსის მიერ, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მონაწილეობით, ისეთი სანოტარო მოქმედებების შესრულებისას, როგორიცაა იურიდიული ფაქტების (გარიგებების) დადასტურება, სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით განხორციელებული მოქმედებები, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემა და სხვა თავისი ბუნებით პროცესუალური ხასიათისაა და მიმართულია მის კომპეტენციაში შემავალი მატერიალურ-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისაკენ. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ სანოტარო მოქმედებათა განხორციელებისათვის დადგენილი პროცესუალური წესრიგი წარმოადგენს საპროცესო მოქმედებების განსაზღვრულ, რეგლამენტირებულ სისტემას და განიხილება სანოტარო პროცესის შინაარსის შემადგენელი ნაწილი. სანოტარო პროცესის, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის განსაზღვრისა და მისი შინაარსის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ თავად იურიდიული პროცესის ბუნებაზე მსჯელობა დისკუსიის საგანია. სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში შემუშავებულია სამართლებრივი ცნება, რომლითაც სამოქალაქო პროცესი გაგებულია, როგორც სასამართლოს და პროცესის მონაწილე პირთა პროცესუალური მოქმედებების ერთობლიობა და სადაც ეს უკანასკნელი ხორციელდება გარკვეული კანონით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

იუსტიციის სისტემაში ნოტარიატის ადგილის, როლისა და მისი ბუნების თაობაზე მსჯელობისას მივედივართ დასკვნამდე, რომ სანოტარო საქმიანობა თავისი ბუნებით პროცესუალური ხასიათისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქტუალურია ნოტარიალური პროცესის დახასიათება, როგორც იურიდიული პროცესის ერთ-ერთი ნაირსახეობისა. იმ თვალსაზრისით, რამდენადაც სანოტარო საქმიანობა, როგორც სპეციალური სამართალგამოყენებითი იურიდიული ორგანო, თავის კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების კუთხით აღიქმება, როგორც სახელმწიფოებრივი საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რაც თავის მხრივ, ხორციელდება დადგენილი პროცესუალური რიგითობით. ნოტარიუსის მიერ, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მონაწილეობით, ისეთი სანოტარო მოქმედებების შესრულებისას, როგორიცაა იურიდიული ფაქტების (გარიგებების) დადასტურება, სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით განხორციელებული მოქმედებები, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემა და სხვა თავისი ბუნებით პროცესუალური ხასიათისაა და მიმართულია მის კომპეტენციაში შემავალი მატერიალურ-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისაკენ. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ სანოტარო მოქმედებათა განხორციელებისათვის დადგენილი პროცესუალური წესრიგი წარმოადგენს საპროცესო მოქმედებების განსაზღვრულ, რეგლამენტირებულ სისტემას და განიხილება სანოტარო პროცესის შინაარსის შემადგენელი ნაწილი. სანოტარო პროცესის, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის განსაზღვრისა და მისი შინაარსის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ თავად იურიდიული პროცესის ბუნებაზე მსჯელობა დისკუსიის საგანია. სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში შემუშავებულია სამართლებრივი ცნება, რომლითაც სამოქალაქო პროცესი გაგებულია, როგორც სასამართლოს და პროცესის მონაწილე პირთა პროცესუალური მოქმედებების ერთობლიობა და სადაც ეს უკანასკნელი ხორციელდება გარკვეული კანონით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

პროცესის ანალოგიური გაგებაა სისხლის



სამართლისა და ადმინისტრაციულ საპროცესო სამართლის დისციპლინებშიც. აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევაში სამართალმცოდნეების მიერ საპროცესო სამართალი გაიგება, როგორც უშუალოდ სასამართლო, მხოლოდ რამდენიმე მათგანი უშვებს სხვა არასასამართლო პროცესუალური ფორმების არსებობის შესაძლებლობას* (ი. ჟარლოლისი, ს.ვ. კურილევი, დ.მ. ჩენოტი და სხვა).

იმ ვერსიის მომხრენი, რომელნიც აღიარებენ, რომ საპროცესო სამართალი - ეს არის სასამართლო საპროცესო სამართალი, ხოლო იურიდიული პროცესი - ეს სასამართლო პროცესია, რომელიც არ ითვალისწინებს ახალი პროცესუალური ფორმების წარმოშობისა და შესაბამისად საპროცესო რეგულირების სფეროს გაფართოების შესაძლებლობას.

საპროცესო ფორმაში ხორციელდება და იგულისხმება არამარტო სასამართლოს, არამედ სხვა იურიდიული ორგანოების საქმიანობაც. ამასთან, იურიდიული პროცესების ნაირსახეობათა საკანონმდებლო ინსტიტუალიზაცია, მათ შორის, სანოტაროსიც არ ნიშნავს სამართლებრივი საქმის წარმოებისას პროცესუალური წესრიგის უნიფიცირებას, რადგან უფლებათა დაცვის პროცესში მოღვაწეობა განსხვავებული იურისდიქციის მქონე სუბიექტებისათვის თავისი ხასიათით, მიზნითა და ამოცანებით, არაერთგვაროვანია. სამოქალაქო უფლებების დაცვისაკენ მიმართული ყველა ფორმა კონსტრუირდება კომპეტენციის და დაკისრებული ამოცანების შესაბამისად, ხოლო ორგანიზაციული სტრუქტურა, უფლებამოსილება, ამა თუ იმ ორგანოსათვის დამახასიათებელი საქმის გადაწყვეტის საშუალებები განსაზღვრავს სასამართლო, საარბიტრაჟო, სანოტარო, სამედიცინო და სხვა პროცესუალურ ფორმათა არსებობას. ზემოაღნიშნული გვაძლევს შესაძლებლობას, რათა განვსაზღვროთ, რომ სანოტარო პროცესუალური საქმიანობა ეს არის - სამართალგამოყენებითი იურიდიული საქმიანობა, რომლის ფარგლებშიც კომპეტენტური ორგანოს - ნოტარიუსის მიერ წყდება კონკრეტული სანოტარო საქმე, ხოლო აღნიშნულის რეზულტატია (სამართლებრივი) სანოტარო აქტი, რომლითაც დასტურდება დაინტერესებული მხარისათვის გარკვეული უფლების მინიჭება, ან სახეზეა იურიდიული ფაქტის არსებობა. სანოტარო პროცესი, ეს არის მოცემული საქმიანობის განხორციელების ფორმა, იურიდიული პროცესის ნაირსახეობა, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სანოტარო მოქმედებების შესრულებისათვის კანონით დადგენილ პროცედურას.

სანოტარო პროცესის შინაარსში მოიაზრება ნოტარიუსების, მასთან კანონით გათანაბრებული პირების ან სანოტარო პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, რომლითაც რეალიზდება მათი უფლებები და მოვალეობები. სანოტარო პროცესი ხასიათდება რიგი იურიდიული პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

სანოტარო პროცესი, ეს არის გარკვეული იურიდიული საქმის განხილვა. იურიდიული საქმე - ეს არის გარემოება, რომელიც წყდება კანონის საფუძველზე და მისი შედეგები განხორციელდება კანონის აღსრულების მიზნით. ნოტარიუსის მიერ იურიდიული საქმის გადაწყვეტა და შესაბამისად სანოტარო აქტის მონაწილეთა აღჭურვა გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით, სანქცირებულია სახელმწიფოს მხრიდან. შესაბამისად, დოკუმენტს ენიჭება ოფიციალური მნიშვნელობა, რაც აძლევს მითითებულ პირებს საშუალებას, მიიღონ გარკვეული სტატუსი და შეასრულონ გარკვეული მოქმედებები (მაგალითად მიიღონ ანდერძით შემკვიდრება).

სანოტარო პროცესი - ეს არის საქმიანობის ფორმა, რომელიც ხორციელდება ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ. სანოტარო საქმიანობის განხორციელება ხელეწიფება მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ პირებს. სანოტარო საქმიანობის განხორციელება კანონით დადგენილი სტატუსის არმქონე პირის მიერ იწვევს მოცემული სანოტარო აქტის ბათილად ცნობას.

სანოტარო პროცესი, როგორც იურიდიული პროცესის ნაირსახეობა, ეს არის საქმიანობა, რომლის რეზულტატი აუცილებლად ფორმდება შესატყვისი პროცესუალური აქტის - დოკუმენტის სახით. ამასთანავე, ნოტარიუსის ან მასთან კანონით გათანაბრებული პირის მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედება სავალდებულოა დარეგისტრირდეს შესაბამისი წესით (რეესტრი ან ელექტრონული რეესტრი), იურიდიული პროცესი და სანოტარო პროცესიც, როგორც მისი ერთ-ერთი ნაირსახეობა - საქმიანობა, რომელიც უკავშირდება ობიექტურ მოთხოვნას პროცესუალურ-პროცედურული რეგლამენტაციისა, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს საქმის სწორი, სწრაფი, ეფექტური განხილვისა და მასზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების გარანტიას.

სანოტარო პროცესი, საქმიანობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება გარკვეული მეთოდებისა და იურიდიული ტექნიკის (მოთხოვნათა სისტემის) გამოყენებას, რაც უშუალოდ უკავშირდება სანოტარო საქმის წარმოების პროცესს. (მოცემული რეგლამენტაცია დეტალურად გაწერილია

* Аргунов В. Н. Нотариальные услуги населению — и М. 1991 с-37.

* Юбельсон К. С. Советский нотариат М. 1958 — с 28.



„ნოტარიატის შესახებ“ კანონებსა და იუსტიციის მინისტრის შესაბამის ბრძანებებში).

რამდენადაც სანოტარო პროცესი წარმოადგენს იურიდიული პროცესის ნაირსახეობას და უკავშირდება კანონით სანოტარო მოქმედებისათვის დადგენილ წესებს, იგი ხასიათდება რთული სტრუქტურული შინაარსით. სანოტარო პროცესის ელემენტებს წარმოადგენენ მისი სუბიექტები, სტადიები და საქმის წარმოება, რაც გვაძლევს შესაძლებლობას გამოვკვეთოთ ზემოთ ხსენებული საქმიანობის სივრცობრივ-დროითი საზღვრები და მათი საგნობრივი შინაარსი.

სანოტარო პროცესის სუბიექტებს განეკუთვნება სანოტარო ორგანოები და სანოტარო მოქმედების მონაწილე პირები. სანოტარო პროცესის ყველა სუბიექტი, მათი ფუნქციისა და პროცესში მონაწილეობის მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება გავაერთიანოთ სამ ჯგუფში: პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან - სანოტარო ორგანოები (ნოტარიუსები, კონსულები, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლები. და კანონიკმასთან გათანაბრებული პირები, რომლებსაც დელეგირებული აქვთ სანოტარო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება).

მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან იურიდიულად დაინტერესებული პირები. ეს არიან, მოქალაქეები და იურიდიული პირები (და/ან მათი წარმომადგენლები) ვისი ნების სასარგებლოდ ან ვისთან მიმართებითაც სრულდება სანოტარო მოქმედებები.

მესამე ჯგუფს განეკუთვნებიან პირები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული სანოტარო აქტის შედეგით, მაგრამ იღებენ მონაწილეობას სანოტარო პროცესში (ექსპერტები, თარჯიმნები, მოწმეები და სხვა.) მათი მონაწილეობის მიზანია სანოტარო საქმიანობის განხორციელებისა და ნოტარიუსის მიერ კანონიერი და დასაბუთებული სანოტარო აქტის მიღების ხელშეწყობა.

სანოტარო ორგანოები წარმოადგენენ სანოტარო პროცესის ცენტრალურ და აუცილებელ ფიგურას, ისინი ფლობენ უფლებამოსილებას დაადასტურონ სანოტარო აქტის მონაწილეთათვის საგადადებლოდ შესასრულებელი სანოტარო აქტი. სანოტარო ორგანოების ხელისუფლებითი (აღჭურვილი) ხასიათი, გამოიხატება მათ ქმედებაში უზრუნველყოფნა სანოტარო საქმიანობის პროცესში დაინტერესებული და სხვა სუბიექტების მოწვევა, წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლა, შეფასება, ასევე პროცესის ორგანიზება, რაც იძლევა სანოტარო მოქმედების მონაწილეთათვის სასურველი შედეგის დადგომისა და ზოგადად ნოტარიატის ამოცანის სრულყოფილად შესრულების შესაძლებლობას. სანოტარო ორგანოებზე სანოტარო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება

ის დელეგირებისას, სახელმწიფო მათ ანიჭებს რეალურ სახელისუფლებო უფლებამოსილებას.

სანოტარო ორგანოების სამართალსუბიექტურობას გააჩნია თავისებური ხასიათი, იგი გამოიხატება კომპეტენციაში, რომლითაც სანოტარო ორგანოები აღჭურვილნი არიან სახელმწიფოს მხრიდან არა უფლებამოსილებით, არამედ უფლებებითა და მოვალეობებით, რომელთა ერთობლიობაც ქმნის სანოტარო ორგანოების კომპეტენციას შესასრულებელ საქმიანობასთან მიმართებით.

სანოტარო ორგანოების კომპეტენციას გააჩნია განსხვავებული მასშტაბები, რამდენადაც წრე სანოტარო მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილებისა სხვადასხვა შემთხვევებში ერთმანეთს არ ემთხვევა, ასევე განსხვავებულია სუბიექტებისადმი დამოკიდებულების საკითხი.

ნოტარიუსებისა და მასთან კანონით გათანაბრებული პირების გარდა სანოტარო პროცესის სუბიექტებს განეკუთვნებიან საქმით დაინტერესებული პირები. ეს პირები თავის მხრივ იყოფიან პროცესის ინიციატორ ე.ი პირებად, ვინც წამოიწყებს სანოტარო საქმის წარმოებას და მიმართავს ნოტარიუსს სანოტარო აქტის შესასრულებლად და პირები, ვისი მოხმობაც ხორციელდება სანოტარო ორგანოს მიერ, მაგალითად „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლით ნოტარიუსი იღებს შევალისაგან კრედიტორზე გადასაცემად დეპოზიტში ფულად თანხებს და ფასიან ქაღალდები. ფულადი თანხისა და ფასიანი ქაღალდის მიღების თაობაზე ნოტარიუსი ატყობინებს კრედიტორს და იღებს ზომებს ფულადი თანხისა და ფასიანი ქაღალდების გადასაცემად. ამ პროცესის ინიციატორად გვევალება მოვალე, ხოლო სანოტარო ორგანოს რჩება უფლებამოსილება მოიწვიოს პროცესში კრედიტორი. პროცესში დაინტერესებული პირების მოწვევისა და ჩართვის ინსტიტუტის არსებობას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ განხორციელებულ სანოტარო მოქმედების შედეგი შეიძლება შეეხოს მათ უფლებებსა და ინტერესებს. ასეთი მონაწილეობა უზრუნველყოფს სანოტარო საქმის წარმოების უვადო ხასიათს. თუ მოცემულ პირებსა და პროცესის ინიციატორებს შორის წარმოიშევა დავა, სანოტარო პროცესის გაგრძელება შეუძლებელი იქნება, წარმოიშევა სასამართლო დავა. ხოლო მათ შორის სანოტარო პროცესის დონეზე საქმის მოგვარებისას გამოირიცხება სამომავლოდ სასამართლო დავის არსებობის შესაძლებლობა. დაინტერესებულ პირებს განეკუთვნებიან ასევე კანონიერი და სახელშეკრულებო წარმომადგენლები, მათი ინტერესები განისაზღვრება უშუალოდ კანონით (მშობლები, მშვიდელები, მეურვეები და მზრუნველები) ან ხელშეკრულებით (რწმუნებულე-



ბი, მინდობილები, მათ შორის ადვოკატები) . ზემოთ აღნიშნული პირები პროცესში სასურველი მიზნის მისაღწევად, ზემოქმედებენ სანოტარო პროცესის წარმოშობასა და მიმდინარეობაზე.

პროცესში არა დაინტერესებულ პირებად შეიძლება მივიჩნიოთ ადვოკატები, თარჯიმნები, სამკვიდროს მმართველები, მეურვეები, მზრუნველები და სხვა. ამ ჯგუფში შემავალი სუბიექტები არ ახდენენ ზეგავლენას სანოტარო პროცესის მიმდინარეობასა და განვითარებაზე და მხოლოდ ხელს უწყობენ სხვა მონაწილეებს იმით, რომ აწვდიან მათ აუცილებელ ფაქტიურ მასალას. მაგალითად, ექსპერტის დასკვნა ნოტარიუსისათვის წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, რაც წარმოადგენს დოკუმენტაციის უტყუარობის შეფასებისათვის საჭირო საფუძველს. თარჯიმანი, პროცესის ფიგურაა, რომელიც აუცილებელია სანოტარო წარმოებისას ენის პრინციპის შესაბამისად და მოქალაქეთა მიერ საკუთარი სამოქალაქო უფლებების რეალიზების პროცესში. მისი მონაწილეობის გარეშე სათანადო ენის არცოდნის შემთხვევაში, ნოტარიუსი უბრალოდ ვერ შეძლებს სანოტარო მოქმედების შესრულებას, შესაბამისად მხარეც ვერ მოახდენს თავის ნების გამოხატულების დაყვანას ნოტარიუსამდე. სანოტარო პროცესის მონაწილეთა შორის, სასურველია მოვიხსენიოთ ის პირებიც, რომლებიც მოქმედებენ სპეციალური ორგანოების ან ფიზიკური პირების მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად პროცესში მონაწილე პირის ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან რაიმე საპატიო მიზეზის არსებობისას ხელს აწერენ სანოტარო აქტს, ამ უკანასკნელთა თხოვნითა და მითითებით. ასეთ შემთხვევაში, ისინი ასრულებენ რომელიმე ერთ კონკრეტულ მოქმედებას და არ არიან დაინტერესებულნი პროცესით, ამასთან კანონი ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომ სანოტარო აქტი არ შეიძლება ხელმოწერილი იქნეს იმ პირის მიერ, რომლის სასარგებლოდაც ან რომლის მონაწილეობითაც შედგა მოცემული აქტი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება დაინტერესებულ მხარესთან. სანოტარო პროცესი სტადიური ხასიათისაა, რომელიც განსაზღვრავს მის დინამიკას და საპროცესო მოქმედებების განხორციელების თანამიმდევრობის წესს. სანოტარო პროცესის სტადიები, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, ყალიბდება სანოტარო საპროცესო მოქმედებებისაგან, რომელიც მმართველია ერთი უახლოესი პროცესუალური მიზნისაკენ და ხასიათდება დრო-სივრცითი პრინციპით, სუბიექტთა სპეციფიური წრით, რომლებიც ნოტარიუსის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე პროცესის გარკვეულ სტადიაზე ფლობენ

უფლებებსა და მოვალეობებს. შესაბამისად სანოტარო პროცესში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სავალდებულო სტადიები:

- სანოტარო წარმოების დაწყება;
- სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის მომზადება;
- სანოტარო საქმის არსებითი განხილვა და სანოტარო აქტის მიღება.

სანოტარო საქმის წარმოების დაწყების სტადია შემოიფარგლება განცხადების შეტანისა და სანოტარო უფლებამოსილების განმხორციელებელი პირის მიერ მისი წარმოებაში მიღების პროცედურით. განცხადების მიღებას წინ უსწრებს ამა თუ იმ სანოტარო აქტის შესრულებისათვის საჭირო წინამძღვრები და ამ უფლების განხორციელების პირობა. სანოტარო საქმის წარმოების დაწყების სტადია დასაბამს იღებს დაინტერესებული პირის ნოტარიუსთან ან მასთან გათანაბრებულ პირთან მიმართვის მომენტი და ეს სტადია თავდება ან სანოტარო საქმის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებით, ან მის შესრულებაზე უარის თქმით. სანოტარო საქმის წარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველი რეგლამენტირებულია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით, რომლის შესაბამისადაც ნოტარიუსი და მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირი უარს აცხადებს სანოტარო მოქმედების შესრულებაზე თუ:

- სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას,
- სანოტარო მოქმედების შესასრულებლად წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს პირის პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს, ან ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ
- სანოტარო მოქმედების მონაწილე, არ არის უფლებამოსილი პირი ან ქმედუნარიანი ან თხოვნა სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ შემოსულია იმ ენაზე, რომელსაც ნოტარიუსი არ ფლობს და არ არის თარჯიმნის გამოყენების შესაძლებლობა იურიდიული პირის მიერ დასადები შეთანხმება ეწინააღმდეგება წესდებითა და დებულებით დადგენილ უკანასკნელის ინტერესებსა და მიზნებს.

თავისი ხასიათის მიხედვით სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება დავეყოს ორ ჯგუფად: პირველს განეკუთვნება ის შემთხვევა, როცა დაინტერესებულ პირს არ გააჩნია სანოტარო ორგანოსადმი მიმართვის უფლება (მოქმედება რომლის შესრულებასაც ითხოვენ ეწინააღმდეგება კანონს, იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება ეწინააღმდეგება წესდებითა და დებულებით



განსაზღვრულ მიზნებს და ა.შ).

მეორე ჯგუფს განეკუთვნება შემთხვევა, როდესაც დაინტერესებული პირების მიერ ნოტარიუსისადმი მიმართვის პროცესში არ ხდება მათი უფლების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების დაცვა (მაგალითად, მოქმედება ექვემდებარება სხვა ნოტარიუსის მიერ შესრულებას ან წარმოდგენილი პირი არაუფლება-მოსილი ან ქმედუნაროა)

მომზადების სტადიაზე ნოტარიუსის მიერ ხორციელდება საანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი მოქალაქის ან იურიდიული პირის პირადობისა და ქმედუნარიანობის და/ან უფლებამოსილების დადგენა.

მომზადების სტადია, როგორც საანოტარო პროცესის დამოუკიდებელი სტადია, მიზნად ისახავს შექმნას აუცილებელი პირობა საანოტარო აქტის სწორი შესრულებისათვის. მომზადების სტადია უკავშირდება: კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, რიგი ფაქტებისა და გარემოებების დადგენას;

რიგი მტკიცებულებების მოპოვებას და განსაზღვრას, რომელიც აუცილებელია მოცემული ფაქტის დასადაგენად;

იმ პირთა წრის განსაზღვრა, რომელთა მონაწილეობაც აუცილებელია მოცემული აქტის შესრულებისას;

ყველა საჭირო მტკიცებულებების წარმოდგენის უზრუნველყოფა და მათი საქმით დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა (აღნიშნული პროცედურები რეგულირდება კანონით);

საანოტარო მოქმედების შესრულების მსურველ პირთათვის მოქმედების შინაარსისა და მისი სამართლებრივი შედეგების შესახებ განმარტებების გაცემა. კონკრეტული საქმისათვის რიგი ფაქტების დადგენის საკითხის გადაწყვეტა წარმოებს მატერიალური სამართლის იმ ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც არეგულირებენ მოცემული დასამოწმებელ საანოტარო აქტს.

მაგალითად, ნოტარიუსი ნასყიდობის, ჩუქების, სამიდღემშიო რჩენის, გაცვლის ხელშეკრულების დამოწმებისას, შესაბამისი ფაქტების არსებობას, ამყარებს საჭირო დოკუმენტაციით. ფაქტებისა და მტკიცებულებების წრის გამორკვევისას, ნოტარიუსი ასევე გამოიკვლევს კონკრეტული საქმის პროცესის მონაწილე სუბიექტების წრეს. პირველ რიგში, ეს არიან დაინტერესებული პირები და მათი წარმომადგენლები, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება იყვნენ, ასევე მოწვეული ის პირები, რომლებსაც ხელი აქვთ მოწერილი შეთანხმებაზე დაინტერესებულ პირთა ნაცვლად და ამ უკანასკნელთა თხოვნითა და მათ მიერ ხელმოწერის განუხორციელებლობისათვის საპატიო

მიზეზის არსებობის გამო. საანოტარო აქტის სხვა სუბიექტთა წრის დადგენა უკავშირდება კონკრეტული საანოტარო აქტის შინაარსს და ნოტარიუსის მხრიდან ხდება მისი განსაზღვრა კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის თავისებურებათა გათვალისწინებით (მაგალითად, საქორწინო კონტრაქტის დამოწმებისას, აუცილებელია ორივე მეუღლის პირადი მონაწილეობა) სუბიექტების უფრო გაზრდილ ოდენობას ვხვდებით სამემკვიდრო საქმის წარმოებისას, შესაბამისად ასეთ საქმეებზე საანოტარო პროცესის სუბიექტები არიან:

- მემკვიდრეები;
- მეურვეები;
- მზრუნველები;
- სამკვიდროს მმართველები;
- ლეგატარები;
- ანდერძის აღმასრულებლები;
- სახელმწიფო საფინანსო ორგანოები;
- ეკლესია და სხვა იურიდიული პირები, იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ეანდერძათ ქონება;
- მოწმეები, რომლებიც ესწრებიან სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით ჩატარებულ ღონისძიებას და სხვა

შესაბამისი წრის დადგენის შემდეგ, ნოტარიუსმა უნდა მიიღოს ზომები მათ გამოსაწვევად, ამასთან „საანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 80-ე და 87-ე მუხლების შესაბამისად, ნოტარიუსს შეუძლია მემკვიდრეები მოიწვიოს საჭირო საჯარო გამოცხადებითა პრესაში გამოქვეყნებით.

ნოტარიუსი ვალდებულია დაინტერესებულ პირებს განუმარტოს თავიანთი უფლებები და მოვალეობები, მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები, მაგალითად, სასამართლო რწმუნებულების დამოწმებისას, ნოტარიუსი არკვევს და შესაბამისად იძლევა განმარტებებს, უფლებამოსილებების მინიჭებასთან (მათ შორის სპეციალურ უფლებამოსილებათა) მიმართებით.

ზოგიერთი მეცნიერი შესასრულებელი საანოტარო მოქმედების შედეგების განმარტებას, მიაკუთვნებს საქმის არსებითად განხილვის და საანოტარო მოქმედების შესრულების სტადიას. მიგვაჩნია, რომ ეს მოსაზრება არ არის სწორი და იგი არ უწყობს ხელს საანოტარო პრაქტიკის გაუმჯობესებას. დეტალური განმარტება მიზნად ისახავს დაინტერესებულ მხარეებს გაუწიოს დახმარება მატერიალური და პროცესუალური ნორმების განმარტებაში, შესაბამისად ასეთი ინფორმაცია მოცემულმა პირებმა უნდა მიიღონ რაც შეიძლება ადრეულ პროცესუალურ სტადიაზე ე.ი მოსამზადებელ სტადიაზე. იმდენად, რამდენადაც, უკვე პროცესის წარმოშობისთანავე მათ



უნდა იცოდნენ თავიანთი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები, რათა პქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი მიზნების მისაღწევად სრულად გამოიყენონ ისინი. ყველა მოსამზადებელი მოქმედების ჩატარების შემდეგ, ნოტარიუსი გადადის საქმის არსებითი შესწავლისა და სანოტარო აქტის შედგენის სტადიაზე, რაც სრულდება შესაბამისი დოკუმენტის შექმნითა და მისი გაცემით, მაგალითად - სამკვიდრო მოწმობის გაცემა, ან ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერის შესრულება. სწორედ ამ სტადიაზე ნოტარიუსი ვალდებულია დარწმუნდეს იმაში, რომ სანოტარო აქტი შეესაბამება კანონის მოთხოვნას და მასში აღეკვეთება გამოხატული მხარეთა ნება. ზემოთაღნიშნული სტადია ასევე მოიცავს საქმის დეტალურ განხილვისა და წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მასალების შესწავლის, მათი გამოკვლევისა და შეფასების პროცესს და რომელთა საფუძველზეც გაკეთდება დასკვნა მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენების საფუძველზე, რასაც შედეგად მოჰყვება შესაბამისი პროცესუალური დოკუმენტის გაფორმება და მისი გაცემა. განსახილველი სტადია შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: მოსამზადებელი ნაწილის, უშუალოდ დამადასტურებელი წარწერის მომზადების და/ან მოწმობის გაცემისაგან, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისაგან. მოსამზადებელი ნაწილის შინაარსს ქმნიან მოქმედებები, რომლებიც უკავშირდება საქმეზე ფაქტიური გარემოებების დადგენას. ამ მიზნით, ნოტარიუსი ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტაციას, აძლევს მათ საბოლოო შეფასებას, აკეთებს დასკვნას იურიდიული ფაქტების შესახებ, ახდენს სანოტარო მოქმედების შესრულების მოთხოვნით მასთან გამოცხადებულ მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეფასებას, მაგალითად, ანდერძის დადასტურებისას, ნოტარიუსი ამოწმებს, რომ მასთან წარმოდგენილ ანდერძის ტექსტში არ არსებობდეს კანონსაწინააღმდეგო ჩანაწერი ან მემკვიდრის მიერ კანონით დადგენილ ვადაში უარი სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ზრდის შესაბამისი მემკვიდრის კუთვნილი წილი სამკვიდროში.

მოსამზადებელი სტადიის შინაარსი ასევე მოიცავს ზოგიერთი სანოტარო აქტის შესრულებისათვის საჭირო წინასწარი მოქმედებების ჩატარებას. მაგალითად: ნოტარიუსის მიერ მასთან ჩაბარებული განცხადების ადრესატისათვის გადაცემის თაობაზე მოწმობის გაცემას წინ უსწრებს განცხადების ადრესატისადმი გადაცემის დამადასტურებელი ცნობის მოძიება.

კანონმდებლობით დადგენილი სხვა სანოტარო მოქმედებების შესრულებისას ხორციელდება სანოტარო აქტის მონაწილის ხელმოწერის

სინამდვილის დადასტურება.

შეთანხმების, განცხადების და სხვა დოკუმენტაციის სანოტარო დადასტურება ხორციელდება მათზე უშუალოდ ნოტარიუსის წინაშე ხელმოწერის შესრულების საფუძველზე. თუ შეთანხმება, განცხადება და სხვა დოკუმენტი ნოტარიუსთან წარმოდგენილია უკვე ხელმოწერილი, მაშინ მისი წარმდგენი ვალდებულია პირადად დაადასტუროს რომ ხელმოწერა მისი შესრულებულია.

თუ მოქალაქე ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლებს დოკუმენტზე ხელმოწერას, მისი თხოვნითა და მიხედვით თანდასწრებით აღნიშნული უნდა განახორციელოს მის მიერ დასახელებულმა პირმა უშუალოდ ნოტარიუსისა და მოწმის წინაშე. მიზეზი რის გამოც სანოტარო აქტის მიღებით დაინტერესებულმა მოქალაქემ ვერ შესძლო ხელის მოწერა აისახება დამადასტურებელ წარწერაში.არ შეიძლება მინდობილობას, თანხმობას ან შეთანხმებას ხელი მოაწეროს პირმა, ვის სასარგებლოდაც ან ვისი მონაწილეობითაც არის ეს უკანასკნელი შედგენილი.

სანოტარო აქტი გაიცემა:

მოწმობის გაცემის სახით (მაგალითად, საკუთრების უფლების მოწმობა, მემკვიდრეობის უფლების მოწმობა და ა. შ.) და დამადასტურებელი წარწერის შესრულებით - გარიგებებზე, ხელსეკრულებებზე, თანხის დეპოზიტში მიღებაზე (შესაბამისი ქვითრის გაცემის პარალელურად).

ყველა სანოტარო მოქმედება ექვემდებარება ერთიან ელექტრონულ რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.

სანოტარო წარმოება, სანოტარო პროცესის ელემენტია და ხასიათდება შემდეგი საგნობრივი მახასიათებლებით. სანოტარო საქმიანობის საგანს წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოებებიდან გამომდინარე საქმეები და სადაც არ არსებობს დავა უფლებისა და ფაქტის მიმართ.

კანონით ჩამოთვლილი სანოტარო მოქმედებები, ერთი მხრივ ხასიათდება სერთო მახასიათებლებით და მეორეს მხრივ იძლევიან საშუალებებს დაეყოს ისინი გარკვეულ ჯგუფებად. მათი საერთო მახასიათებლები ანალიზი გვაძლევს საშუალებას ჩამოვაყალიბოთ სანოტარო საქმიანობის საგანი. ერთობლიობაში სანოტარო საქმისწარმოება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნოტარიუსებებისა და სანოტარო პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტების მონაწილეობით კანონით განსაზღვრულ და დადგენილ ფარგლებში განხორციელებული პროცესუალური მოქმედებები. ამასთან სანოტარო მოქმედებებათა შესრულების წესს გააჩნია სამართლებრივი რეგულაცია.

სანოტარო საქმიანობის სახეებს (ან ცალკეული სანოტარო სამისწარმოება) - ეს არის მატე-



რეალურ სამართლებრივი ბუნებით მსგავსი სანოტარო მოქმედებები რაც განსაზღვრავს კიდევ მათი შესრულების პროცესიანოტარ თავისებურებებს. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესები შემოფარგლულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, რომელთა შესრულებაც ზოგადად სავალდებულოა, რადგან აღნიშნულით უზრუნველყოფილია სანოტარო საქმის დროული და სწორი მოგვარების საკითხი. კანონიერი და დასაბუთებული სანოტარო აქტის გმოცემა, თავისთავად სანოტარო საქმისწარმოებების შინაარსი ე.წ. ზოგადი წესები, განსაზღვრავს სანოტარო მოქმედებათა შესრულების ისეთ წესებს, რომელიც საერთოა ყველა სანოტარო მოქმედებისათვის, მათი შინაარსის მიუხედავად აღნიშნული ძირითადად უკავშირდება ნოტარიუსის ვალდებულებებს:

- დახმარება გაუწიოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მათი კანონიერი ინტერესების

რეალიზაციასა და დაცვის პროცესში;

- განუმარტოს ამ უკანაყენოთ თავიანთი უფლებები და მოვალეობები;

- გასცეს სათანადო ახსნა-განმარტებები შესრულებული სანოტარო აქტის მიმართ;

- საიდუმლოდ დაიცვას შესრულებულ სანოტარო მოქმედებასთან და აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია,

- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე;

- მოახდინოს მხარეთა პირადობების, მათი ქმედუნარიანობების, უფლებამოსილების, ასევე მათ მიერ შესრულებული ხელწერის იდენტიფიცირება;

- არ მიიღოს წარმოებებში დოკუმენტები, რომელიც შესრულებულია კანონმდებლობის ნორმათა დაუცველად ან შეიცავს მოქალაქეთა ან იურიდიული პირების პატივისა და ღირსების შემცველ ინფორმაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. სეხნიაიძე, ნარკვევები ნოტარიატის ისტორიიდან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, თბილისი, გამომცემლობა “ჯისიაი”, 2004 წელი.

2. Peter Bose, Das Handelsrgister 2000

3. Hanns-Jakob Putzer, das Notariat im Zivilrechtssystem სტატიაში, განხილულია ნოტარიატის საქმიანობის განხორციელების ძირითადი მიმართულებებიდა ნოტარიტია ინსტიტუტის ურთიერთკავშირი სამართლის დარგებთან.

4. Karl. H Haug. Grundscuge aines ferzixerong ssistems fur notare 2007.

5. Wolfgang Ott, Aufgaben des Notars im FAMilien und Erbrecht 2008.

6. Bernhard HillelDarja Eisenreich, Der Ubergang vom staatlichen Notariat der DDR zum freien Notariat 2005.

7. Б.А. АРГУНОВА. Правовые основы нотариальной деятельности. 1994.

8. Комаров В.В. Баранкова Харьков, 2000. стр. 70.

LEGAL ESSENCE OF NOTARIAL PROCESS

TINATIN DEVDARIANI
PhD of GTU

Summary

The discussion of nature, place and role of a Notary within the justice system allows us to conclude that in its nature the notarial activity may be characterized as a procedural activity. Therefore, notarial process should be characterized as one of the varieties of legal process. To this point, the activities of the notary in its capacity of a special law enforcement authority, within its competence and in terms of legal decision-making is perceived as a special form of state activity, which in turn, is implemented by the procedural order.

Notarial activities, involving natural persons and legal entities in the fulfillment of the notarial acts such as confirmation of the legal facts (transactions), the actions related to protection of inheritance property, also issue of an inheritance right certificate etc. are procedural in their nature and oriented on resolution of material-legal matters under its competence; all of this demonstrates that the procedural order duly established for implementation of the notarial activities is a defined, regulated system of procedural acts and considered as a part of the content of the notarial process.

Determination of a notarial process as an independent legal institution and development of its content requires taking into account the special circumstance that the discussion of the nature of a legal process itself is the subject of certain consideration. The theory of civil procedure law has developed the legal concept, according to which the civil process is understood as a combination of procedural actions of court and the process participating individuals where the latter (civil process) is carried out in compliance with the statutory form prescribed by the legislation.